მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის 2018 წლის სექტემბრის განჩინების კანონიკურსამართლებრივი შეფასება

ნიკოლოზ ღონღაძე

როგორც ცნობილია, 2018 წლის 15 ოქტომბერს მინსკში შეიკრიბა მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდი. აღნიშნულ კრებაზე მოსკოვის საპატრიარქომ დაგმო მსოფლიო საპატრიარქოს მიერ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკელიის მინიჭების გადაწვეტილება. ამავე კრებაზე მოსკოვის საპატრიარქომ გადაწყვიტა, საეკლესიო კავშირი გაეწყვიტა მსოფლიო საპატრიარქოსთან, სანამ იგი არ გააუქმებს მიღებულ გადაწვეტილებას[1].

უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებასთან დაკავშირებით მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მიღებული გადაწვეტილების არაკანონიკურობის დასამტკიცებლად მოსკოვის საპატრიარქო წმინდა სინოდის აღნიშნულ განჩინებაში ცდილობს წარმოადგინოს კანონიკური და ისტორიული არგუმენტები.

ჩვენს მოხსენებაში შევეცდებით, მოკლედ განვიხილოთ მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებაში წარმოდგენილი ეს არგუმენტები, რაც, ჩვენი აზრით, ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

სანამ უშუალოდ სინოდური განჩინების განხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავ, რომ ჩემი მიზანი არ არის რომელიმე მხარის პოზიციის დაცვა, არამედ მსურს, ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდზე დაფუძნებით, შევაფასო რამდენად აქვთ საფუძველი მოსკოვის საპატრიარქოს არგუმენტებს ეკლესიის ისტორიასა და კანონიკურ სამართალში. ჩემი მთავარი მიზანია, გარკვეული სიცხადე შევიტანო აზრთა იმ ჭიდილში, რაც უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხმა ბოლო დროს ქართულ სივრცეში გამოიწვია.

მოსკოვის სპატრიარქო სინოდურ განჩინებაში აცხადებს, რომ მსოფლიო საპატრიარქოს გადაწვეტილება, უკრაინის ეკლესი-

[1] <http://www.patriarchia.ru/db/text/5283708.html> [14.02.2019]

ისთვის მიენიჭებინა ავტოკეფალია არის არაკანონიკური და პოლიტიკურად მოტივირებული. ამგვარი შეფასებების გასამყარებლად მოსკოვის საპატრიარქო გვთავაზობს შემდეგ არგუმენტებს:

1. მისი განცხადებით, სქიზმატებთან კავშირი სქიზმაში მონაწილეობას უტოლდება. აქ ძალიან მოკლედ აღვნიშნავთ, რომ თუ მსოფლიო საპატრიარქოს გადაწვეტილება, დედა ეკლესიის წიაღში დაებრუნებინა მიტროპოლიტი ფილარეტი (დენიშნკო), მაკარი (მალეტიჩი) და მათთან ერთდა მილიონობით უკრაინელი მართლმადიდებელი მორწმუნე ქრისტიანი, ნიშნავს სქიზმაში მონაწილეობას, მაშინ ზოგადად ეკლესიის მიზანი ყოფილა არა სქიზმების დაძლევა, არამედ – მასში დარჩენა. ვფიქრობ, ეკლესიის ისტორიის მცირედი ცოდნაც საკმარისია, გაარჩიო რამდენად არის საფუძვლიანი ეს არგუმენტი[2];

2. სინოდურ განჩინებაში, ასევე, ნახსენებია მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის ორი ეპისტოლე კიევის ყოფილი მიტროპოლოტის განკვეთასთან (1992) და შემდეგ ანათემამაზე გადაცემასთან (1997) დაკავშირებით. მართლაც, მსოფლიო პატრიარქი საკუთარი ეპისტოლეებით ადასტურებს რუსეთის წმინდა სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მიტროპოლიტ ფილარეტის განკვეთის შესახებ. ისმის კითხვა, თუ მსოფლიო პატრიარქი საკუთარი ეპისტოლეებით დაეთანხმა მოსკოვის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებას, მაშინ რატომ გამოაქვს საპირისპირო განჩინება წლების შემდეგ? ბუნებრივია, მსოფლიო საპარტიარქო იმ ეტაპზე არ დაკავებულა აღნიშნული საკითხის გამოკვლევით, რადგან მისთვის არავის მიუმართავს. მსოფლიო საპატრიარქომ, ისევე როგორც სხვა ეკლესიებმა, უბრალოდ დაადასტურეს მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის უფლება, მიეღო ამგვარი გადაწყვეტილება, მაგრამ როდესაც საეკლესიო სასჯელის ქვეშ მყოფმა ეპისკოპოსმა მიმართა მსოფლიო საპატრიარქოს და გამოიყენა მსოფლიო საპატრიარქოში გასაჩივრების, ანუ

[2] <https://www.ec-patr.org/docdisplay.php?lang=gr&id=2689&tla=gr> [14.02.2019]

აპელაციის უფლება, იგი ვალდებული გახდა, თავიდან გამოეკვლია ეს საქმე და შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო;

3. მოსკოვის საპატრიარქოს სინოდურ განჩინებაში მოყვანილია ანტიოქიის კრების (341) მე-15 კანონი, სადაც აღნიშნულია, რომ თუ ეპისოკოსი ერთხმად იქნა განსჯილი, ამგვარი გადაწყვეტილება არ უნდა გასაჩივრდეს. როგორც ჩანს, მოსკოვის საპატრიარქოსთვის ანტიოქიის კრების გადაწყვეტილებით, 341 წელს დასრულდა კანონიკური სამართლის და ეკლესიის ისტორიის განვითარება. ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულებმა კარგად იციან, რომ იმ პრობლემების გადაწვეტას, რაც ანტიოქიის კრების კანონებმა გამოიწვიეს ეკლესიაში, დასჭირდა სხვა კრებების (სარდიკიის კრება (343), კართაგენის (419), მეორე მსოფლიო კრების (381) და მეოთხე მსოფლი კრების (451) ჩატარება;

4. შემდეგ მოსკოვის საპატრიარქო იშველიებს კართაგენის კრების 28-ე კანონს და ამავე კრების ეპისტოლეს რომის პაპ ცელესტინეს მიმართ, რომელშიც აკრძალულია ეპისკოპოსებმა **„ზღვის გაღმა ნაპირს“** გაასაჩივრონ ამ ეკლესიაში მიღებული გდაწყვეტილებანი. ეს კანონი გულისხმობს კონკრეტულად რომის ეკლესიას და კართაგენის ეპისკოპოსებს უკრძალავს საჩივრით მიმართონ რომს. კიევის ფილარეტს არც რომისთვის მიუმართავს და იგი არც კართაგენის ეპისკოპოსია;

5. იშველიებს კართაგენის კრების (419) კრების 119-ე და ქალკედონის (451) მე-17 კანონებს. კართაგენის კრების აღნიშნული კანონი მიუთიებს, რომ თუ დონატისტელი ეპისკოპოსი დაბრუნდება **„საერთო კავშირში“** და სამი წლის განმავლობაში არავინ მოითხოვს იმ ტერიტორიას, რომელსაც იგი დაიკავებს, არავის აქვს უფლება, სამი წლის გასვლის შემდეგ ამ ტერიტორიაზე რაიმე პრეტენზია გამოთქვას. ქალკედონის მე-17 კანონის თანახმად კი, თუ ოცდაათი წლის განმავლობაში ეპისკოპოსი წინამძღვრობდა რომელიმე სოფელს ან დაბას ისე რომ არავის გაუსაჩივრებია ეს, აღნიშნული ტერიტორია მის გამგებლობაში უნდა დარჩეს. უკრაინა, რომელიც დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოა არც სოფელია და არც დაბა, რომელთა შესახებაც მეოთხე მსოფლიო კრების მე-17 კანონი საუბრობს. ასევე, რა

კავშირი აქვს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას კართაგენის ადგილობრივი კრების აღნიშნულ კანონთან, რომელიც დონატიზმიდან „საერთო კავშირში“ დაბრუნებული ეპისკოპოსების იურისდიქციის საკითხს აგვარებს?

6. მოსკოვის სპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებაში ერთ-ერთ არგუმენტად მოტანილია მესამე მსოფლიო კრების მე-8 კანონი, რომელიც კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალიას ეხება. კანონში აღნიშნულია: **„ღვთისსათნომყოფელ ეპისკოპოსთაგან არავინ გაავრცელოს თავისი ხელისუფლება იმ ეპარქიაზე, რომელიც მანამდე არც მას და არც მის წინამორბედ ეპისკოპოსს არ ექვემდებარებოდა“.** ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ კიევის ეკლესია მსოფლიო საპატრიარქოს მიერ დაარსდა და საუკუნეების განმავლობაში ემორჩილებოდა მას, შესაბამისად, არ ყოფილა იგი მისთვის უცხო ეპარქია (**ἐπαρχίαν ἑτέραν**). ამგვარად, ეს კანონი ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ მსოფლიო საპატრიარქო არაკანონიკურად მოქმედებს უკრაინაში;

7. კიდევ ერთი წყარო, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქო მიმართავს, არის ზონარას სქოლიო ქალკედონის კრების მე-17 კანონზე, სადაც აღნიშნულია: **„ყველა ეპისკოპოსის მსაჯული არ არის კონსტანტინოპოლის პატრიარქი, არამედ იგი განსჯის მხოლოდ მის მორჩილებაში მყოფებს. სირიის, პალესტინის და ფინიკიის ეპისკოპოსებს მათი სურვილის გარეშე ვერ წარადგენს საკუთარი სამსჯავროს წინაშე“[3].** არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქს არ აქვს უფლება, ჩაერიოს სხვა ეკლესიების საქმეებში, თუ მას არ სთხოვენ, ამგვარად მოიქცეს. ზონარაც ნათლად აღნიშნავს, რომ სხვა ეკლესიების ეპისკოპოსებს, მათი სურვილის გარეშე, ვერ განსჯის კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ხოლო **სურვილის შემთხვევაში,** რა თქმა უნდა, მათ უფლება აქვთ, მიმართონ კონსტანტინოპოლს;

8. მოსკოვის საპატრიარქოს სინოდური განჩინების შემდგენელნი მიმართავენ წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელისა და ბერი აგაპიოსის მიერ შედგენილ კანონთა კრებულს, რომელიც პიდა-

[3] Р.П. В’, 260.

ლიონის სახელით არის ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ნიკოდიმოსი მართლაც უარყოფს კონსტანტინოპოლის საყდრის უფლებას, მიიღოს საჩივრები სხვა ავტოკეფალური ეკლესიებისგან, მაგრამ, მოდით, ყურადღებით განვიხილოთ ეს საკითხი და ვნახოთ რამდენად სწორად იყენებს ნიკოდიმოსი მის მიერ წარმოდგენილ წყაროებს.

წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელი, მეოთხე მსოფლიო კრების მე-9 კანონის განმარტებისას, სადაც საუბარია კონსტანტინოპოლის საყდრის მიერ საჩივრის მიღების უფლებაზე, სქოლიოში აღნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლს ამის უფლება არ აქვს, **„კონსტანტონოპოლის საყდრის მეთაურს არ აქვს უფლება, იმოქმედოს სხვა საპატრიარქოების იურისდიქციასა და საზღვრებში და არც ეს კანონი აძლევს მას საჩივრის მიღების უფლებას მთელ ეკლესიაში“**[4]. წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელი თავის ამ მოსაზრებას ამყარებს სხვადასხვა კანონსა და ისტორიულ ფაქტზე, რომლებიც ამავე სქოლიოშია წარმოდგენილი, მაგრამ ამ ფაქტებისა და კანონების ანალიზის შემდეგ სულ სხვა დასკვნამდე მივდივართ. ქვემოთ წარმოგიდგენთ წმინდა ნიკოდიმოსის მიერ მოყვანილ არგუმენტებს და მათ ანალიზს:

1. წმინდა ნიკოდიმოსი აღნიშნავს, რომ ქალკედონის მეოთხე მსოფლიო კრების მეოთხე სხდომაზე გაუქმდა კონსტანტინოპოლის საყდრის მეთაურის ანატოლიოსის გადაწყვეტილება, რომელმაც ანტიოქიის საპატრიარქოში ტიროსის ეპარქია ჩამოართვა ამ ეპარქიის ეპისკოპოს ფოტიოსს და დაუქვემდებარა ვირიტოსის **(ანტიოქიის საპატრიარქო)** ეპისკოპოს ევსტათიოსს **(წმ. ნიკოდიმოსი შეცდომით ევსტათიოსის ნაცვლად ახსენებს ევსების)**. ნიკოდიმოსის აზრით, მსოფლიო კრებამ ამგვარი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა ანატოლიოსმა იმოქმედა საკუთარი იურისიქციის ფარგლებს გარეთ. თუმცა, მეოთხე მსოფლიო კრების ოქმებში სულ სხვა სურათი გვხვდება. კონსტანტინოპოლის პატრიარქ ანატოლიოსს ბრალი იმაში კი არ ედება, რომ საკუთარი

[4] Πηδάλιον, 108.

იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მოქმედებდა, არამედ იმაში, რომ კრებაზე, სადაც ტიროსის ეპისკოპოსი ფოტიოსის საკითხი წყდებოდა, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისი მოწვევის გარეშე[5]. კრების მამები სწორედ ამიტომ აღნიშნავენ, რომ **„დაუსწრებლად არავინ უნდა განისაჯოს“[6]**. ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეკლესიაში მსოფლიო კრება წარმოადგენს უმაღლეს ავტორიტეტს და სწორედ ამიტომ ის ფაქტი, რომ მეოთხე მსოფლიო კრებამ გააუქმა კონსტანტინოპოლის საყდრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სულაც არ ნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლის საყდარს არ აქვს საჩივრის მიღების უფლება;

2. ამის შემდეგ ნიკოდიმოსი იმოწმებს ისააკ ეფესელს და იმპერატორ მიქაელ პალეოლოგსს (1223-1282 წწ.) შორის შემდგარ დიალოგს. ისააკ ეფესელი იმპერატორს უმტკიცებს, რომ **„კონსტანტინოპოლის ძალაუფლება არ ვრცელდება აღმოსავლეთის საპატრიარქოებზე“[7].** აღნიშნული დიალოგი გვხვდება გიორგი პაქიმერისის (1242-1313) ნაშრომში – „მიქაელ პალეოლოგი“. ამავე ნაშრომში, ცოტა მოგვიანებით, ისააკ ეფესელი აღიარებს, რომ **„ძველი კანონების მიხედვით, კონსტანტინოპოლის საყდარს აქვს უფლება, განავრცოს საკუთარი ძალუფლება მის საზღვრებს გარეთ“[8]**, მაგრამ თვითონ ამ ფაქტს უწოდებს „ბოროტებას“, რადგან ეს კანონები, მისი აზრით, მოძველებულია. კანონები, რომლებიც, ისააკ ეფესელის აზრით, მოძველდნენ, წარმოადგენენ მსოფლიო კრებების მიერ მიღებულ კანონებს და არავის აქვს მათი შეცვლის უფლება, მსოფლიო კრების გარდა;

3. ნიკოდიმოს მთაწმინდელი, ასევე, იმოწმებს ბიზანტიის იმპერატორების მიერ მიღებულ კანონებს:

ა) იმპერატორ იუსტინიანეს 123-ე ნეარაში აღნიშნულია: **„უნეტარესმა პატრიარქმა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და აღსრულდეს საეკლესიო და**

---

[5] MANSI. 7, 91.

[6] MANSI. 7, 92.

[7] Corpus Scriptorum Historiae Byzantinae, Tomus 17, De Michaele et Andronico Palaeologis: გვ. 451.

[8] იქვე, გვ. 52.

საერო კანონების შესაბამისად. მის მიერ გამოტანილ განაჩენს არავინ შეეწინააღმდეგოს“[9];

ბ) ნიკოდიმოსი, ასევე, იმოწმებს ლეონ ბრძენის კანონთა კრებულს. ამ კრებულში ვხვდებით ფრაზას: **„პატრიარქის მიერ გამოტანილი განაჩენი არ გასაჩივრდება და არც სხვის მიერ თავიდან განხილვას ექვემდებარება“**[10];

გ) ნიკოდიმოსი კიდევ ერთხელ იმოწმებს ნეარებს სადაც აღნიშნულია: **„პატრიარქების გადაწყვეტილებები არ გასაჩივრდებიან“**[11]. ზუსტად იგივე ფრაზას ვხვდებით ფოტიოსის ნომოკანონებში[12]. ბალსამონი განმარტავს ამავე ფრაზას და აღნიშნავს, რომ ეს კანონი გულისხმობს სახელმწიფო მმართველებს, რომელთაც არ აქვთ უფლება, ეჭვქვეშ დააყენონ პატრიარქების გადაწყვეტილებები[13]. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ როგორც იუსტინიანეს ნეარები, ასევე, სხვა მსგავსი კანონები წარმოადგენენ ე.წ. ნომოსს, ანუ სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებით და ამიტომ ეკლესიისთვის მათ სავალდებულო ხასიათი არ აქვთ.

არსებითად ეს გახლდათ მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის მიერ მოყვანილი არგუმენტების ნუსხა. დასკვნის სახით, აღვნიშნავთ, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ნათელი ხდება რამდენად აქვთ ამ არგუმენტებს საფუძველი საეკლესიო ტრადიციაში.

უკრაინელი მართლმადიდებელი ქრისტიანები დიდი ხანი ელოდნენ ავტოკეფალიის მოპოვების ამ უდიდეს მოვლენას და ვფიქრობთ, არავის აქვს უფლება, უარყოს კეთილმორწმუნე უკრა-

---

[9] ΑΙ ΝΕΑΡΑΙ ΤΟΥ ΙΟΥΣΤΙΝΙΑΝΟΥ ΝΙΚΟΛΑΟΥ-ΠΑΤΡΑΓΑΣ Θ. ΚΥΡΙΑΚΟΣ, ΕΝ ΑΘΗΝΑΙΣ 2018. σ. 583.

[10] PG. 113, 489C.

[11] Gustav Ernst Heimbach, Ἀνεκδοτα Tom. I. Athanasii scholastici Emiseni de novellis constitutionibus. σ. 10.

[12] Ρ. Π. Α’, 180.

[13] Ρ.Π. ΣΤ’, 429.

ინელი ერის ნება, ჰქონდეს ავტოკეფალური და დამოუკიდებელი ეკლესია, სხვა ეკლესიების მსგავსად.